

საქართველოს პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
N 685 1996 წლის 24 ოქტომბერი ქ.თბილისი

მოსახლეობის სოციალური დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების, დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

მოსახლეობის სოციალური დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების, დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი "მოსახლეობის სოციალური დაცვის 1996-2000 წლების ძირითადი მიმართულებანი" (თან ერთვის).

2. საქართველოს სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების სამინისტრომ (თ.გაზდელიანი):

2.1. ერთ თვეში დაასრულოს დასაქმების სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაცია;

2.2. მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს ქვეყანაში ყველა მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეზე 1999 წლის დასაწყისისათვის ბინაზე სოციალური მომსახურების ფორმის გავრცელების პროგრამა;

2.3. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, განათლების სამინისტროსთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს და ორ თვეში წარმოადგინოს დასაქმების ეროვნული პროგრამა, 1997 წლის ივლისამდე რეგიონალური, საქალაქო და რაიონული დასაქმების მიზნობრივი პროგრამები;

2.4. სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან (ო.ხუფენია) ერთად ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სახის მცირე, კერძო სავაჭრო და საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო მომსახურეობის ობიექტების, საწარმოების, ორგანიზაციების (საკუთრებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად), იმ ინდივიდუალური მეწარმეების სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პირობებისა და წესების შესახებ, რომლებიც არ იყენებენ შრომის ანაზღაურებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ ფორმებს;

2.5. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად:

- შეიმუშაოს და ორ თვეში წარმოადგინოს სოციალური ხაზით სახელმწიფო სადაზღვევო შემთხვევათა ნუსხის გაფართოების პერსპექტიული პროგრამა;

- მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებები საქართველოში უმწეო მოსახლეობის პოლისებით უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის შესახებ.

- მოაწყოს ქალთა, ბავშვთა, მრავალშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახების არსებული მდგომარეობის მონიტორინგი და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებები აღნიშნული კატეგორიის პირებისათვის (ოჯახებისათვის) მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევის შესახებ.

- შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები მარტოხელა მოხუცების პანსიონატების მედიკამენტებით, საპრთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით, ტანსაცმლითა და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ.

2.6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად:

- მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებები მცირე და საოჯახო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უმუშევარი მოქალაქეებისათვის დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან საკუთარი საქმის ორგანიზაციებისათვის სუბსიდიების გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ;

- 1997 წლის მარტამდე წარმოადგინოს წინადადებები ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების განვითარების ფონდის შექმნის შესახებ;

- უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს მიერ მოწონებული "1996-2000 წლების შრომის ანაზღაურების სრულყოფის ძირითადი მიმართულებებით" განსაზღვრულ ღონისძიებათა დადგენილ ვადებში განხორციელება და ექვს თვეში ერთხელ სახელმწიფო კანცელარიას წარუდგინოს ინფორმაცია მუშაობის მიმდინარეობის შესახებ;

2.7. თბილისის მერიასთან (ბ. შოშიტაიშვილი) ერთად შეიმუშაოს და 1997 წლის პირველ კვარტალში წარმოადგინოს წინადადებები თბილისში ომისა და შრომის ვეტერანთა სახლის დაარსების შესახებ;

2.8. სახელმწიფო კანცელარიას ყოველკვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია მოქმედ პანსიონატებში სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფთა კვების, სამედიცინო, სყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების მდგომარეობისა და დამხმარე მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

2.9. ექვს თვეში ერთხელ სახელმწიფო კანცელარიას მიაწოდოს ინფორმაცია "ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის" შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე):

3.1. უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებისათვის გამიზნული სახსრების დროული და სრული ჩარიცხვა შესაბამის ანგარიშებზე;

3.2. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაწილეობით ორ კვირაში შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისადმი საწარმოებისა და ორგანიზაციების დავალიანების საკითხს, და ორ თვეში წარმოადგენს წინადადებებს ამ სფეროში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

3.3. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან (მ.ჩხენკელი) ერთად ორ თვეში წარმოადგინოს წინადადებები სტიქიის შედეგად დაზარალებული პირებისათვის სახლების მშენებლობის დასამთავრებლად;

3.4. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან (თ. გაზდელიანი), ეკონომიკის სამინისტროსთან და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებები ცალკეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის კომუნალური, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე შეღავათების მინიჭების შესახებ, შესაბამისი სავალდებულო გადაანგარიშების, გადამხდელისა და დაფარვის წყაროს გათვალისწინებით;

3.5. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან და ეროვნულ ბანკთან ერთად ორ თვეში წარმოადგინოს წინადადებანი თბილისის საპროთეზო - ორთოპედიული ქარხნის ფუნქციონირების აღსადგენად (კაპიტალური რემონტი, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, უახლესი ტექნოლოგიების შესყიდვა-დანერგვა);

3.6. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან და სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი ქალაქ ქობულეთში (აჭარა) მოხუცებულთა და ინვალიდთა დასვენებამკურნალობისათვის მშენებარე სანატორიუმის დამთავრების შესახებ;

3.7. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი ომისა და შრომის ვეტერანთა პანსიონატ "ბაზალეთის" დანიშნულებისამებრ ასამოქმედებლად;

4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ვ.პაპავა):

4.1. საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრებში მისაღები კონტიგენტის სპეციალობებისა და რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ეროვნული მეურნეობისათვის საჭირო კადრებზე მოთხოვნა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს წინადადებათა გათვალისწინებით;

4.2. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებანი "საქართველოს სოციალური განვითარების პოლიტიკის შესახებ"

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების მე-5 მუხლის "დ" პუნქტთან დაკავშირებით.

5. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე):

5.1. განახორციელოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული სახელმწიფო სამედიცინო-სანიტარიული, სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკა;

5.2. უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, სახელმწიფო ჯანდაცვისა და სამეცნიერო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის გამიზნულ სამუშაოთა ორგანიზაცია, კოორდინაცია და კონტროლი, აგრეთვე მოახდინოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო საქმიანობის სამართალ-სუბიექტების რეგისტრაცია, აკრედიტაცია და ლიცენზირება;

5.3. შეიმუშაოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო დახმარების წესები, პირობები, ნორმატივები და კონტროლი დაუწყოს დაცვას, აგრეთვე სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სტანდარტებისა და შიდა სტანდარტების დამტკიცება და კონტროლი;

5.4. შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო სავალდებულო სამედიცინო სადაზღვევო, აგრეთვე მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამების სავალდებულო მინიმუმი;

5.5. სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით განახორციელოს სპეციალური პროგრამები(საქართველოს მოქალაქეები,განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი 200 ათასი კაცი, დევნილები, იძულებით გადაადგილებული პირები, დედები და ბავშვები);

5.6. უზრუნველყოს ორ თვეში "უსაფრთხო დედობის და ბავშვთა გადარჩენის პროგრამის" სადაზღვევო პრინციპებზე გადაყვანა;

5.7. განახორციელოს ჯანდაცვის სახელმწიფო ფედერალური ფონდის მართვა;

5.8. უზრუნველყოს

5.9. განახორციელოს ნებაყოფლობითი სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ლიცენზირება, მათი შესრულების კოორდინაცია და კონტროლი;

5.10. უზრუნველყოს მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გარანტირებული, კვალიფიციური ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარება და განავითაროს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სტრატეგიულ-პროფილაქტიკური მიმართულებანი;

5.11. ხელი შეუწყოს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ჯგუფების, ცალკეული პირების საქმიანობას, რომელთა მიზანია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესისა და პირველი პრევენციის მნიშვნელობის გაცნობა;

5.12. უზრუნველყოს დედათა და ბავშვთა დაცვის დარგში პრიორიტეტულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

5.13. განახორციელოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების, შრომის, ყოფაცხოვრების, კვების, სწავლების, აღზრდის,რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების, მინერალური

სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესების დაცვის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა, ნედლეულის, პროდუქციის და მათი მწარმოებელ-მარეალიზებელი ობიექტების სახელმწიფოჰიგიენური რეგისტრაცია, სერტიფიცირება და ექსპერტიზა;

5.14. ორგანიზაცია გაუწიოს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე სამკურნალო საშუალებათაწარმოებას და მათ ინტეგრირებას შიდა და საერთაშორისო ბაზარზე დააწესოს სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დახმარების სახეების, ზღვრული ან ფიქსირებული ფასები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ ზონებში;

5.15. უზრუნველყოს მედიცინის მეცნიერების განვითარების კოორდინირება და სტიმულირება;

5.16. განსაზღვროს საქართველოში სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო აპარატურისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა პროდუქციის წარმოების განვითარების პერსპექტიული მიმართულება და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას;

5.17. უზრუნველყოს სამედიცინო კადრების მომზადების სათანადო დონე და კვალიფიკაცია და სრულყოფს უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესი;

5.18. განსაზღვროს, დარგის ინტერესებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას;

5.19. განახორციელოს დარგის დაწესებულებების მუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებანი;

5.20. დაუწესოს კონტროლი სამედიცინო დაწესებულებათა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ საქმიანობას;

5.21. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად სამედიცინო დარგის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელებისათვის სპეციალური პროგრამა და მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად;

5.22. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაციის სამწლიანი პროგრამა;

5.23. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაოს ზონებში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამები;

5.24. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (ვ. თარგამაძე) და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან (თ. აბულაძე) ერთად დაუწესოს მკაცრი კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე ფარმაცევტული ბაზრის რეგულირებას;

6. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ვ. ვაშაკიძე):

6.1. შეიმუშაოს და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს კონცეფცია შიდა მიგრაციული პროცესების მართვის შესახებ;

6.2. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკისა და განსახლების რეგიონალური პროგრამები;

6.3. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა (ზ. ერქვანია) და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი დევნილთა დასაქმების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ;

6.4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს დევნილთა დროებით საცხოვრებელ ადგილებში, აგრეთვე მათი დაბრუნების შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სარემონტო და აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროგრამა დაფინანსების წყაროების ჩათვლით.

6.5. ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ერთ თვეში მოაწყოს სტიქიის შედეგად დაზარალებული იმ ოჯახების მონიტორინგი, რომლებიც დროებით ახალი ბინადრობის ადგილებში წლობით ცხოვრობენ კეთილმოწყობილ ბინებსა და დაუმთავრებელ სახლებში;

6.6. ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე შეარჩიოს და განსაზღვროს სარეზერვო ტერიტორიები და რეგიონები, სადაც მოხდება ექსტრემალურ სიტუაციებში მიგრანტთა მოსალოდნელი ნაკადების კომპლექსური განთავსება;

6.7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეისწავლოს სოფლის მოსახლეობის მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და მოამზადოს წინადადებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად;

7. საქართველოს განათლების სამინისტრომ (თ.კვაჭანტირაძე):

7.1. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, მუშახელზე პერსპექტიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ორ თვეში წარმოადგინოს წინადადებები პროფესიული ორიენტაციის, კადრების მომზადებისა გადამზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების შესახებ. სისტემის შექმნაში გათვალისწინებულ იქნეს არსებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რეორგანიზაციის შედეგად პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების შექმნა და დასაქმების ორგანოებთან სახელშეკრულებო საწყისებზე მათი ერთობლივი მუშაობის მექანიზმის ჩამოყალიბება;

7.2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ორ კვირაში წარმოადგინოს ინფორმაცია დევნილი და იძულებით ადგილნაცვალი მოსწავლეების სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ.

8. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს

წინადადებები სოფლად არსებული სოციალური დანიშნულების ობიექტების სამართალმემკვიდრეების განსაზღვრისა და ადგილობრივ სასოფლო საკრებულოების გამგებლობაში მათი გადაცემის შესახებ;

9. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (ბ. გულუა):

9.1. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროსთან (მ.ადეიშვილი)და ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსთან (პ.ზალდასტანიშვილი) ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;

9.2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი სოფლად სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და არსებული ობიექტების აღდგენა-რეკონსტრუქციის შესახებ;

9.3. საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი სოფლის სკოლებისათვის საცდელი და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრების სასწავლო მეურნეობებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ;

9.4. მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი სოფლად ტექნიკური მომსახურების ცენტრებისა და საბითუმო რგოლების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ;

9.5. საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრების ბაზაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი პირებისათვის მეურნეობის ორგანიზაციის საფუძვლების შემსწავლელი სპეციალური კურსების ჩამოყალიბების შესახებ;

10. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) იუსტიციის სამინისტროსთან (თ. ნინიძე) ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადებანი საერთაშორისო ხელშეკრულებებით საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ნაკისრ ვალდებულებათა რეალიზაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ;

11. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ (პ.ზალდასტანიშვილი) ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებანი მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობის სპეცფიკური საქონლით (პროდუქტებით) მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ;

12. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (ვ. ნადიბაიძე) ფინანსთა სამინისტროსთან და სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან ერთად ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებანი "ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად;

13. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტმა (ლ. გიგინეიშვილი) სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან (თ. გაზდელიანი) ერთად მოამზადოს და მიმდინარე წლის ბოლომდე გამოსცეს საინფორმაციო მეთოდური მასალების კრებული, მიძღვნილი ომის მონაწილეების, ინვალიდების, ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების, შრომის ვეტერანების, მარტოხელა მოხუცებული მოქალაქეების სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებისადმი;

14. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა (კ. ასათიანი) შეიმუშაოს და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს 2000 წლის პარაოლიმპიური თამაშებისათვის ინვალიდ სპორტსმენტა მომზადებისა და საკვალიფიკაციო ტურნირებში მონაწილეობის მიღების პროგრამა;

15. სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ბიურომ (გ. ყუბანეიშვილი) შემდგომი წლების პროგრამების შედგენის დროს გაითვალისწინოს ინვალიდთა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამებში ჩართოს ინვალიდთა სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო ღონისძიებები და მათი დაფინანსების შესძლებლობა;

16. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დააჩქაროს სოციალური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო და ქვეკანონიერი აქტების განხილვა და მიღება; წინადადებანი რეგიონებში "უმწევოთა სალაროების" შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ;

17. სას

18. ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, თელავი, ბათუმი, ახალციხე) მერიებმა შექმნან ტერიტორიული მოვლის ცენტრები, სადაც მარტოხელა შრომისუუნარო მოხუცებს გაეწევათ სადღეღამისო სამედიცინო - საყოფაცხოვრებო მომსახურება. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა გამონახონ სათანადო შენობები ტერიტორიული მოვლის ცენტრების განსათავსებლად;

19. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა განსაზღვრონ მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების რიცხვიდან მარტოხელა, შეჭირვებულ პენსიონერთა ფაქტობრივი მატერიალური მდგომარეობა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯზე პენსიებზე დანამატების დასაწესებლად, აგრეთვე, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გაითვალისწინონ სახსრები შეჭირვებული პენსიონერებისა და ინვალიდების ერთჯერადი მატერიალური დახმარებებისათვის;

20. ქალაქებსა და რაიონებში, აგრეთვე სამხარეო დონეზე დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ადგილებზე განხორციელების მიზნით, შრომის ბაზრის რეგულირებისა და მისი ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას დასაქმების საკოორდინაციო მუდმივმოქმედი საბჭოები მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პროფკავშირების, დასაქმების სამსახურის, მეწარმეთა კავშირის, საგადასახადო სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით. საკოორდინაციო

საბჭოს თავმჯდომარეობა დაეკისროთ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს;

21. ეთხოვოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას (ა. გოგელია) მოამზადოს სოციალური უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებზე სპეციალური ტელეგადაცემები;

22. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს.

ე. შევარდნაძე